საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 207 2019 წლის 8 თებერვალი ქ. თბილისი

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულებაში (შემდგომში – №13 განკარგულება) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის შენიშვნის შესაბამისად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ (პროგრამული კოდი: 25 07 04 – ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია – მუნიციპალიტეტები) და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ (პროგრამული კოდი: 32 02 11 – საჯარო სკოლის მოსწავლეების

ტრანსპორტით უზრუნველყოფა) ამ განკარგულების შესაბამისად უზრუნველყონ სათანადო ღონისძიებების განხორციელება.";

ბ) განკარგულებით განსაზღვრული მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერის გამოთვლის წესის (დანართი №2):

ბ.ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ წესის პირველი პუნქტით განსაზღვრული ფორმულის შესაბამისად, თითოეული მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხის ოდენობა განისაზღვროს მინიმუმ 310 000 (სამას ათი ათასი) ლარისა და მაქსიმუმ 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის ფარგლებში.";

ბ.ბ) ცხრილი ჩამოყალიბდეს ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, ხოლო ეთხოვოთ მუნიციპალიტეტებს (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მუნიციპალიტეტებისა), №13 განკარგულებით მოწონებული უფლებამოსილებების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების (დანართი №1) გაფორმება ამ განკარგულებით გათვალისწინებული ცვლილების შესაბამისად, ხოლო ამ განკარგულების ძალაში შესვლამდე უფლებამოსილებების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში – შესაბამისი ცვლილების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

N	მინიციპალიტეტი	გამოსაყოფი თანხა (ლარი)
1	ლანჩხუთი	520,000
2	ოზურგეთი	1,010,000
3	ჩოხატაური	410,000
4	ბაღდათი	410,000
5	ვანი	460,000
6	ზესტაფონი	900,000
7	თერჯოლა	530,000
8	სამტრედია	860,000
9	საჩხერე	930,000
10	ტყიბული	450,000
11	ქ. ქუთაისი	2,000,000
12	წყალტუბო	800,000
13	ჭიათურა	860,000
14	ხარაგაული	410,000
15	ხონი	410,000
16	ახმეტა	590,000
17	გურჯაანი	910,000
18	დედოფლისწყარო	360,000
19	თელავი	970,000
20	ლაგოდეხი	720,000
21	საგარეჯო	730,000
22	სიღნაღი	480,000
23	ყვარელი	580,000
24	დუშეთი	560,000
25	თიანეთი	310,000
26	მცხეთა	770,000
27	ყაზბეგი	310,000
28	ამბროლაური	310,000
29	ლენტეხი	310,000
30	ონი	310,000
31	ცაგერი	310,000
32	აბაშა	390,000
33	ზუგდიდი	1,500,000
34	მარტვილი	620,000
35	მესტია	310,000
36	სენაკი	470,000
37	ქ. ფოთი	540,000
38	ჩხოროწყუ	360,000
39	წალენჯიხა	520,000
40	ხობი	530,000
41	ადიგენი	350,000
42	ასპინძა	310,000
43	ახალქალაქი	1,370,000
44	ახალციხე	760,000

45	ბორჯომი	470,000
46	წინოწმინდა	560,000
47	ბოლნისი	810,000
48	გარდაბანი	1,290,000
49	დმანისი	520,000
50	თეთრიწყარო	500,000
51	მარნეული	1,820,000
52	რუსთავი	1,730,000
53	წალკა	520,000
54	გორი	1,840,000
55	კასპი	740,000
56	ქარელი	760,000
57	ხაშური	910,000
	სულ	39,990,000